პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 51 (6116)

14 მარტი, სამშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბად-კისინგენში (აფრ) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძის გამარჯვებამ დიდად გაახარა მისი თანამემამულენი მატარებელს, რომელსაც პრეტენდენტი მოსკოვიდან მოჰყავდა, ყველა გაჩერებაზე ეგებებოდნენ ათასობით გულშემატკივრები.

ფოტოკორესპონდენტმა თ. ქიქავამ ფირზე აღბეჭდა შეხვედრა გორში, გორელებს ესალმებიან მაია და ბ. გურგენიძე; „პირველი ინტერვიუ" — ასე შეიძლება ეწოდოს მაიას და ე. გუფელდის ამ საუბარს, რომელიც უკვე თბილისის ვაგზალზე გაიმართა.

●

(მასალა პრეტენდენტის თბილისში დაბრუნების შესახებ იხ. მე-8 გვერდზე).



## საქართველო ეგებება სასიქადულო შვილს







### სპარტაკიადის ექო

## ამას ამბობენ მეტერანები

### ბაკურიანი

დიდი სპარტაკიადის სტარტები ბაკურიანში უკვე ისტორიის საკუთრება გახდა, მაგრამ სპორტული მაჯისცემა ამ შესანიშნავ ზამთრის კურორტზე არ დამცხრალა — კოხტაგორას ფერდობებს კვლავ სერავენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამთო-სათხილამურეები — სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე ტურის მონაწილენი გაზეთ „ლელოს" პრიზზე.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სათხილამურო სპორტის რამდენიმე ცნობილ სპეციალისტს, წარსულში ქვეყნის სახელგანთქმულ ჩემპიონებს და თხოვა გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებები განვლილ სასპარტაკიადო ბრძოლებზე. გვესაუბრება...

სსრ კავშირის 23-გზის ჩემპიონი, კორტინა დ'ამპეცოს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სლალომში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ევგენია სიდოროვა:**

— უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო IV სპარტაკიადის ფინალის კარგი ორგანიზაციული მხარე — მისი ყველა სამსახურის შეუფერხებელი მუშაობა. მაღალი გამოდგა ბაკურიანის სტარტები წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც. სასიხარულოა, რომ სპარტაკიადის მთავარი მიზნის — მასობრიობის გარდა, საგრძნობლად გაფართოვდა, ასე ვთქვათ, „დიდი თხილამურების" გეოგრაფიაც. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს გრანდიოზული შეჯიბრება დიდი უპირატესობით მოიგო კემეროვოს ოლქის გუნდმა, ხოლო შედარებით ახალმა სათხილამურო ცენტრებმა — ბაშკირეთისა და კამჩატკის გუნდებმა პირველ ექვსეულში მოიპოვეს ადგილები. რაც შეეხება კემეროვოელებს, დარწმუნებული ვარ, რომ მათ შეეძლოთ ორი თანაბარი ძალის გუნდის გამოყვანა. თვითონ განსაჯეთ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვლადიმერ მაკეევმა, სპორტის ოსტატებმა ალექსანდრე არდეევმა, ალევტინა კულიკოვამ, ლიუდმილა კაბანოვამ და, ცხადია, ვერა რომანოვსკაიამ, უბადლო ოსტატობა გამოამჟღავნეს. საინტერესოა, რომ ყველა ისინი ვარჯიშობენ „ბურევესტნიკში" შესანიშნავი სპეციალისტის, გულმოდგინე მწვრთნელის ზახარჩენკოს ხელმძღვანელობით. ვფიქრობ, რომ 15 წლის რომანოვსკაია, კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს — იგი ჩვენი სამთო-სათხილამურო სპორტის ნამდვილი იმედია. ბაკურიანის ტრასებზე ახალგაზრდებიდან ძალიან მომეწონა მისი თანატოლები ოლგა კუდელინა (მურმანსკის ოლქი), ტატიანა ომელჩენკო (ყაზახეთი) და ტატიანა არდეევა (კემეროვო), რაც შეეხება ჩვენს საუკეთესო ოსტატებს ნადეჟდა პატრაკეევას, სვეტლანა ლებედევას, დებს ტატიანა და ნატალია პერჩატკინებს, ისინი, თავიდანვე ტონს აძლევდნენ დანარჩენ მონაწილეებს და ყველა მათგანი ღირსი იყო ჩემპიონობისა. მისასალმებელია, რომ საუკეთესო საბჭოთა ოსტატები უკვე მონაწილეობენ მსოფლიო თასის გათამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატში. მერწმუნეთ, ეს დიდი ფსიქოლოგიური ფაქტორია. ჩვენ კი, სპორტის ვეტერანებს, ეს არ დაგვესიზმრებოდა.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **დიმიტრი როსტოვცევი:**

— სპარტაკიადამ დაგვანახა, რომ სამთო-სათხილამურო სპორტის დონე ჩვენში საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო სსრ კავშირის ნაკრების (მთავარი მწვრთნელი ვ. მალახოვი, უფროსი მწვრთნელები ლ. ტიაგაჩოვი და ვ. ტემეროვი) ლიდერები ახლა უკვე თითქმის „მსოფლიო სტანდარტების" დონეზე გამოდიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნაკრების საშუალო ასაკი 20 წელია, ხოლო საუკეთესო შედეგებს ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, როგორც წესი, 20-25 წლის ასაკში აჩვენებენ, ჩვენი უძლიერესი ოსტატები და პირველ ყოვლისა მაკეევი, რომ იტყვიან, უკვე „უახლოვდებიან" მედლებს...

**ო. ნოზაძე.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

## სვერდლოვსკი

საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის სტარტები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები, პრიზიორები.

მოციგურავეთა ტურნირზე, რომელიც „იუნოსტის" სტადიონზე მიმდინარეობს, იუნიორთა შორის 500 მეტრზე რბენა მოიგო სვერდლოვსკის გუნდის წევრმა ა. მედენიკოვმა.

ვაჟებმა ბრძოლა დაამთავრეს 1000 მეტრზე ასპარეზობაში. ე. ლობანოვმა (1.18,2) ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. მან თანაგუნდელ ს. მარჩუკს (ორივე — მოსკოვი) 0,5 წამი მოუგო. ბრინჯაოს მედლები მიეკუთვნა ორ სპორტსმენს — მოსკოველ ნ. კუზმენკოსა და ს. ხლებნიკოვს (კარელიის ასსრ), რომლებსაც ზუსტად ერთნაირი მაჩვენებელი (1.18,7) აღმოაჩნდათ.

გაიმართა ვაჟების შეჯიბრება სპრინტში. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ოლიმპიადისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, 31 წლის ა. ტიხონოვმა (ნოვოსიბირსკი) 10 კილომეტრის გავლას 35 წუთი და 45,8 წამი მოანდომა, რამაც მას სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა. ვერცხლი ერგო ლენინგრადელ ა. ალიაბიევს — 36.18,33, ბრინჯაო — ვ. ტოლკაჩევს (ბელორუსია) — 36.18,96.

ბრძოლაში ჩაებნენ მოთხილამურეები. ვაჟები 30 კილომეტრზე დარბოდნენ. ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მთავარი მეტოქეები გამოდგნენ გ. როჩევი (კომის ასსრ), ა. პიატიგინი (სვერდლოვსკის ოლქი) და მოსკოვის ოლქის გუნდის წევრები ნ. ზიმიატოვი და ს. საველიევი.

ნ. ზიმიატოვმა წლეულს არაერთგზის დაამტკიცა, რომ იგი საკმაოდ ძლიერი, პერსპექტიული სპორტსმენია, რომელიც ვეტერანების ტიტულებს არ უშინდება და ფინიშისკენ გაბედულად მიიწევს.

მან ახლაც შეძლო თავისი უპირატესობის დამტკიცება. როცა იგი ფინიშთან მივიდა წამზომებმა 1:37.41,2 აღნიშნეს. ზიმიატოვს წუთითა და 5 წამით ჩამორჩა როჩევი, რომელიც ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაო მიიღო პიატიგინმა — 1:38.53,4. ამავე დღეს გაიმართა იუნიორების შეჯიბრება 20 კილომეტრზე. აქ უძლიერესი გახლდათ სვერდლოვსკის ოლქის გუნდის წევრი ვ. პანკოვი — 1:06.27,2. ა. ჩურიკოვი (კალუგის ოლქი) მხოლოდ 1,6 წამით ჩამორჩა, III ადგილზე გასულმა გორკელმა ი. კრიუკოვმა კი 1:07,51,8 აჩვენა.

სვერდლოვსკის კლუბ „კედრის" საციგაო ტრასაზე ქალთა შეჯიბრებაში აშკარა იყო ლატვიელების უპირატესობა. ამ რესპუბლიკის სპორტსმენებმა გოგონათა შორის პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს — ი. უპატნიეცემ 2.16,2, აჩვენა, ხოლო მ. რანცანემ — 2.17,24. ქალთა შორის ლატვიელებმა ოქროს და ბრინჯაოს მედლები მოიგეს. მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ზოზულიამ სამი დაშვების ჯამში 2.14,23 აჩვენა, ხოლო ი. ამანტოვამ — 2.15,71, ვერცხლის მედალი. ერგო მოსკოველ ა. მავესკაიას — 2.15,43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკონტროლობის შედეგად...

## მშდ-ს ინსპექცია „ლელოს" ფურცლებზე

თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა საქართველოს სპორტკომიტეტისა და მშდ რესპუბლიკური ინსპექციის რეიდი, რომლის მიზანი იყო სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადების ხარისხის შემოწმება. ბრიგადები სწავლობდნენ რესპუბლიკის სოფლის რაიონების ფიზკულტურული კოლექტივების მიერ გაწეულ მუშაობას.

ერთ-ერთი ასეთი ბრიგადა იმყოფებოდა ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში. ხარისხიანად და ოპერატიულად შემოწმების მიზნით ამ რაიონებში შეიქმნა სპეციალური შტაბები, რომლებშიც პარტიის რაიონული კომიტეტების, რაისაბჭოს აღმასკომების, განათლების განყოფილებების, კომკავშირის რაიკომების, სპორტული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ. შტაბებს პარტიის რაიკომების მდივნები ხელმძღვანელობდნენ.

შემოწმება-რეიდის პერიოდში გავსინჯეთ 108 სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივი. საქმიანობის მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზუგდიდის რაიონის სარეიდო ბრიგადა, პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნის ნ. ფიფიას ხელმძღვანელობით.

გამოირკვა, რომ მშდ კომისია და ინსპექცია კარგად მუშაობენ „კოლმეურნის" ზუგდიდის რაისაბჭოში. აქ მოთხოვნის ყველა პუნქტს სათანადოდ ასრულებენ. მაგრამ სხვა რაიონულ ორგანიზაციებში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთაგან ბევრი პრობლემური ხასიათისაა და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის გარეშე ძნელია მშდ კომპლექსთან დაკავშირებული საქმიანობის ნორმალურად წარმართვა. მხედველობაში გვაქვს სპორტული ბაზების ნაკლებობა. ბევრგან განიცდიან სპორტული ინვენტარის, სასროლეთების, აუზების, თვალსაჩინო აგიტაციისა და პროპაგანდის მასალების სიმცირეს, კოლექტივების უმეტესობაში ძალიან დაბალია კომპლექსის დანერგვის დონე.

იმის მიუხედავად, რომ ხობსა და წალენჯიხაში ფეხბურთის კარგი მინდვრებია, ვერც ერთ მათგანზე ვერ ნახავთ სარბენ ბილიკებს, სახტომ და სატყორცნ სექტორებს. ორივე ბაზაზე აგიტაციისა და პროპაგანდის ნიშანწყალსაც ვერ წავაწყდით. არადა, რაიონული ცენტრების სარბიელები სამაგალითო უნდა იყოს ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული საქმიანობის დაყენების მხრივ. აქ სანიმუშოდ უნდა ეწყობოდეს შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში.

ხობის პირველი მაისის საშუალო სკოლას აქვს ტერიტორია, სადაც საუკეთესო კომპლექსური ბაზების მოწყობა შეიძლება. როგორც სკოლის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ამ ტერიტორიის შემოღობვაც არ არის პრობლემა, მაგრამ მთელი სიძნელე ის არის, რომ სკოლისა და დიმიტროვას სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ვერ იქნა და ვერ შეთანხმდა აქ ბაზების მოწყობის საკითხში. ამისთვის კი სულ რაღაც ერთი ბულდოზერი ყოფილა საჭირო. სკოლის კომპ-ლუქსური სპორტული მოედანი მარტო მოსწავლეებს კი არა, სხვა ახალგაზრდებს, კოლმეურნეობის თანამშრომელთა შვილებსა და თვით მეურნეობის მშრომელებს გამოადგებოდათ, როგორც მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებასა და ჩაბარებაში, ისე მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის გაშლაში.

ყველა შემოწმებულ რაიონში კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, საწარმოსა თუ დაწესებულების, მშენებლობის ხელმძღვანელები, მხოლოდ ფეხბურთის მინდვრის მოწყობაზე ზრუნავენ, თითქოს სხვა ბაზები არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდეს. ხობის რაიონში ერთი სასროლეთიც კი არ აქვთ.

როგორც წესი, მშდ ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადება სამედიცინო კონტროლით იწყება. ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებში კი ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. უმეტეს კოლექტივებში სამედიცინო კონტროლი მეტად დაბალ დონეზეა (ზოგან იგი საერთოდ არ ეწყობა), აღარას ვამბობთ მომეცადინეთა სისტემატურ სამედიცინო შემოწმებაზე და იმაზე, რომ რაიონების სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებს მასობრივ შეჯიბრებებზე თითქმის ვერ ნახავთ. უფრო მეტიც, ისინი მონაწილეთა განაცხადებსაც კი არ ამოწმებენ ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

ფიზკულტურულ კოლექტივებში არასახარბიელო მდგომარეობაა საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში. მშდ-ის ინსპექტორების ისედაც მცირე რიცხვის ზრდისთვის არავინ ზრუნავს, ხოლო ინსპექტორთა არსებული ჯგუფები არავითარ პრაქტიკულ საქმიანობას არ ეწევიან. ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მშდ და საერთო ფიზმომზადების სასწავლო ჯგუფები, რომლებსაც ნორმატივების ხარისხიანად ჩაბარებაში ასე დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, ხობის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. ქითანავა) მშდ-ის რვა ინსპექტორი მომზადდა, მაგრამ აქ არც ერთი ჯგუფი არაა შექმნილი, ასეთივე მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონის 1-ელ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ნიქავა) და ხობის რაიონის ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (გ. ყიფიანი).

ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ-ის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილი მასობრივი შეჯიბრებები ძალიან დაბალ დონეზე, სტიქიურად ტარდება. ბევრ შემთხვევაში ასპარეზობათა დებულებები და შეჯიბრების მონაწილეთა განაცხადებიც კი არ დგება.

თუ მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ხარისხზე ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნორმატივების ჩამბარებლები ვერ ერკვევიან თეორიულ მოთხოვნებში, არც ჩაბარების ოქმები არსებობს. არა აქვთ ტურისტული ლაშქრობის სამარშრუტო ფურცლები, სროლისა და ცურვის ნორმატივების ჩაბარების ოქმები. ცხადია, ამ სახეობებში არც ნორმატივების ჩაბარება ხდება. იბადება კითხვა: ამ რაიონებში როგორ ასრულებენ მშდ-ის ნორმატივების მომზადების გეგმებს? ამგვარ ფაქტებს წავაწყდით წალენჯიხისა და ხობის რაიონებში, მაგალითად, წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კვარაცხელია) და ხობის რაიონის საჯიჯაოს ვ. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ხუნჯუა) მშდ-ის ნორმატივების ჩაბარების სათანადო დოკუმენტები არ აღმოჩნდა.

ფიზკულტურული კოლექტივების უმეტესობაში არ ეწყობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზების გათამაშების პირველი ეტაპის ტურნირები. თუმცა რა შეჯიბრებებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ბევრ მათგანში მშდ კომპლექსზე მუშაობა საერთოდ ჩაშლილია. ეს ითქმის წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. კვარაცხელია) ფიზკულტურულ კოლექტივზე. ამ კოლმეურნეობაში არა მარტო მშდ კომპლექსი, არამედ საერთოდ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობაც მივიწყებულია. ფიზკულტურის მეთოდისტი ხელფასს პენსიასავით იღებს. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ საჩინოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. შელია) და საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. ბიგვავა), ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჯ. კიკალეიშვილი).

შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას კონტროლს არ უწევენ ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და სკოლების ხელმძღვანელები.

სარეიდო ბრიგადებმა, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში შემოწმებულ ფიზკულტურულ კოლექტივებს მეთოდური დახმარება აღმოუჩინეს.

**ზ. აგრანატი,**
**ზ. კიკნაველიძე,**
მშდ-ის რესპუბლიკური ინსპექციის წევრები.

---

# პირველი მერცხლები

ბალახის ჰოკეიმ სულ ახლახა... აიდგა ფეხი საბჭოთა კავშირში. ამ საინტერესო თამაშის სამშო... ბლოდ ინდოეთსა და პაკისტანს ... თვლიან, საიდანაც იგი სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს სხვა ... ქვეყნებში.

1980 წელს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის ბალახის ჰოკეისტები პირველად შეეჯიბრებიან მსოფლიოს სახელმოხვეჭილ გუნდებს.

ბალახის ჰოკეისტთა გუნდებ... საქართველოს ქალაქებშიც ჩამო... აყალიბეს, ოთხიოდე თვის წინათ ბათუმში უმაღლესი სპორტულ... დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის ინიციატივით ბალახის ჰოკეისტ ქალთა გუნდი შეიქმნა. მას ბათუმის მე-14 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ზ. მჟავია ხელმძღვანელობ... აი, რა გვიამბო მან გუნდის გეგმებსა და მომავლის პერსპექტივებზე:

— კოლექტივში ძირითადად გა... ერთიანდნენ მე-14 საშუალო სკოლის გოგონები ც. ბუაძე, მ. ... ვიიშვილი, გ. შარაშენიძე, ლ. ბა... ნაზიშვილი, გ. თოდრია, ლ. კუტა... ლაძე, ნ. თურმანიძე, აგრეთვე მე-... საშუალო სკოლის მოსწავლეები ... ბარანოვა, ნ. ესკოვა, ლ. გრე... ვა და სხვები. ნავთობგადამმუშავე... ბელი ქარხნის სტადიონზე და მე-1... სკოლის სპორტდარბაზში ვვარჯ... შობთ. ამ საქმეში დიდ დახმარე... ბას გვიწევს „განთიადის" აჭარი... საოლქო საბჭო და ქარხნის პროფ... კავშირის საქარხნო კომიტე... მე-14 და მე-15 სკოლების დირე... ტორები გ. ხანიაშვილი და მ. ბე... რძენიშვილი.

ჩვენი გუნდის წევრები ბალახ... ჰოკეის პირველი მერცხლები არი... საქართველოში, გოგონათა შორის... რა თქმა უნდა. მათი სპორტ... ბიოგრაფია სულ რამდენიმე თვე... განისაზღვრება, მაგრამ უკვე გა... მოვლინდნენ გუნდის ლიდერ... და წამყვანი მოთამაშეები. ... ნი არიან გ. შარაშენიძე, ლ. კუ... ტალაძე, ნ. თურმანიძე, ს. მა... ნოვა, ნ. ესკოვა, ლ. გრეკოვა... მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთი მერ... ცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს... აუცილებელია მხარი გვიბან ს... ქალაქებმა, რაიონებმა და სპორ... ტულმა ორგანიზაციებმა, რათა ს... ჭირო სპარინგ-პარტნიორობა... მეტოქეობა გაუწიონ ჩვენს გუნ...

საწვრთნელი მეცადინეობის მ... ღალ დონეზე ჩატარებას დღ... აფერხებს სპორტული ინვენტა... სა და აღჭურვილობის სიმცი... განსაკუთრებით ჰოკეის ჯოხებ... სა. კარგი იქნებოდა, თუ ამ საქ... ში ბათუმის ხის დამმუშავებე... ქარხანა დაგვეხმარებოდა, რომე... საც ადვილად შეუძლია ჯოხე... ბის გაკეთება. რაც შეეხება გეგ... მებს, ახლა ვემზადებით ოთხმ... ტურნირში მონაწილეობის მისაღ... ბად, რომელშიც ჩვენს გარდა მო... ნაწილეობას მიიღებენ კრასნო... როვის, ლენინგრადის და ხარკოვ... გუნდები. ანალოგიური ტურნი... გვინდა გავმართოთ ბათუმში. ამ... შემდეგ მონაწილეობას მივიღებ... საკავშირო შესარჩევ პირველობა... ში. ჩვენი სანუკვარი ოცნებაა მო... ვდით იმ რვა გუნდს შორის, რო... მლებიც ასპარეზობას გააგრძელებ... ტაშკენტში გამართულ ფინალურ... შეხვედრებში.

**ო. მურვანიძე,**
(ჩვენი კორ.)

---

**[illegible]**

## ✦ საჩხერე

აქ გაიმართა რაიონის მასწავლე... ბელთა ჩემპიონატი ჭადრაკში. სტა... რტზე გამოვიდა 15 მოჭადრაკე... უძლიერესის სახელი მოიპოვა ს... ჩხერის მე-2 საშუალო სკოლის ფი... ზაღზრდის მასწავლებელმა ა. ... ბახიძემ.

**ა. ანასაშვილი...**

---

### მჟავე სიგნალი

# გუნდური ტურნირი ჩაიშალა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სტენდზე გაიმართა თბილისის თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. ასპარეზობა პირად-გუნდური უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ სარბიელზე მხოლოდ ორი კოლექტივი გამოვიდა გუნდური ტურნირი არ შედგა — მსაჯთა კოლეგიამ მხოლოდ პირადი პირველობა ჩაატარა. სულ ცეცხლის ხაზზე 18 სპორტსმენი შეგროვდა, მათგან 12 ადგილიდან მსროლელი იყო.

ადგილიდან სროლაში თბილისელმა არმიელმა შ. ფეტვიაშვილმა 100-დან 95 სამიზნე გატეხა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მაგრამ მას ეს წოდება არ მიენიჭება, ვინაიდან საკლასიფიკაციო მოთხოვნით ამისთვის საჭიროა შეჯიბრებაში სულ ცოტა 15 მესტენდურე მონაწილეობდეს.

მას 2-2 ქულით ჩამორჩნენ თანაგუნდელები ვ. ამირხანოვი და ი. კონდრატიევი. დამატებითმა სერიამ II ადგილი მოუტანა ამირხანოვს.

მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ძღენტმა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. იმნაიშვილმა (ორივე — „ლოკომოტივი") 87-87 ქულა მოაგროვეს. ორმა დამატებითმა სერიამ მათ შორის უძლიერესი ვერ გამოავლინა, ამიტომ ორივეს I ადგილი მიეკუთვნა. III ადგილზეა მათი თანაგუნდელი დ. გარსევანიშვილი.

მრგვალ სტენდზე მოასპარეზეთა დაბალი შედეგები იმის შედეგია, რომ დანადგარები უხეიროდ მუშაობენ. ამ გარემოებას ყურადღება სასწრაფოდ უნდა მიექცეს, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ხელი არ შეეშალოთ.

**ჯ. მოწონელიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი.

---

# გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

წელიწადი გავიდა, რაც რუსთავის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიამ იმსჯელა მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში მასობრივ-ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე.

სესიაზე ამხილეს ის ხარვეზები, რაც ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ფართოდ გაშლის საქმეში არსებობს და დასახეს სათანადო ღონისძიება ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ამის შესახებ „ლელო" თავის დროზე წერდა.

სესიის ამ გადაწყვეტილებას უკვალოდ არ ჩაუვლია — ბევრი რამ გარდაიქმნა, მაგრამ საზრუნავი და მოსაგვარებელი მაინც ბევრი დარჩა. ჩვენც სწორედ მათ შესახებ გვინდა ვისაუბროთ.

მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" ბაზების რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება გასული წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრებულიყო. ეს საქმე რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ევალებოდა. ქარხანას მისი მასალებით მომარაგება ევალებოდა. საერთო ძალით მწყობრში ჩადგა „მეტალურგის" სტადიონის ტრიბუნებს ქვეშ მდებარე სათავსოები, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, შეკეთდა სპორტდარბაზის იატაკი, კედლები, მოეწყო განათება... მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია — კედლები შესაღებია, ფანჯრები შესაკეთებელი, გათბობა და კანალიზაცია მოსაწესრიგებელი. ყველაფერი რიგზე არც საშხაპეებსა და გასახდელებშია. დარბაზში ცივა. ღია ცის ქვეშ კალათბურთისა და ფრენბურთის (ორ-ორი), ხელბურთის მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები ჯერ მხოლოდ სანახევროდაა შესრულებული...

რუსთავის № 1 სამშენებლო ტრესტს დავალებული ჰქონდა ახალ მიკრორაიონებში სპორტული მოედნების მოწყობა, მასვე 1977 წლის ბოლომდე უნდა უზრუნველეყო საკუთარი ფეხბურთის მინდვრისა და საცურაო აუზის შეკეთება. მართალია, მიკრორაიონებში რამდენიმე ადგილას მოეწყო გამაჯანსაღებელი კერები, მაგრამ ტრესტის ბაზები კვლავ სავალალო მდგომარეობაშია, რის გამოც ქალაქის ერთადერთი ღია აუზი შარშან უმოქმედოდ იყო და საექვოა წლეულს მაინც გაუხსნას კარები მშენებლებს. სტადიონი მშენებელთა დასახლების მობინადრეთა ფრინველისა და ცხოველის სათარეშოდაა ქცეული.

ქიმიური ბოჭკოს ქარხანას შარშან უნდა დაემთავრებინა სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სტადიონის სარბენი ბილიკების, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მოწყობა, ხოლო წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა საცურაო აუზი. ერთადერთი, რაც აქ კაცს თვალში მოხვდება, ეს არის კარგად გაკეთებული გასახდელები და საშხაპეები, სხვა საქმე კი ამ დღეებში დაიწყეს: ჩოგბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე მხოლოდ ქვიშის მოყრით დაკმაყოფილდნენ. სარბენ ბილიკებზე ადრე დაგებულ ასფალტზე უკვე ბალახი ამოვიდა. სტადიონი უხეიროდაა შემოღობილი, დახურული აუზის მშენებლობა არც დაწყებულა. ასეთივე მდგომარეობაშია ტირიც.

შედარებით კარგად არის საქმე ქიმიურ ქარხანაში, რომლის დირექციას სესიამ სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაავალა. ეს ნაგებობა რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. სპორტული კომპლექსის ნათელ დარბაზებში შეიძლება ვარჯიშის ჩატარება რამდენიმე სახეობაში. აქ უკვე 214 ათასზე მეტი მანეთის სამუშაოებია შესრულებული.

ქალაქის საბინაო სამმართველოს დავალებული ჰქონდა საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქციისათვის სახსრების გამოყოფა, ხოლო კომუნალური მეურნეობის შემკეთებელ-სამშენებლო სამმართველოს — ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. შემკეთებლები სამუშაოს შარშან მარტის თვეში უნდა შედგომოდნენ, საჭირო დოკუმენტაციაც დროულად მიიღეს, მაგრამ საქმე დღემდე არ დაუწყიათ.

რუსთავში უამრავი სხვა საზრუნავიცაა, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი კი ფაქტია: სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა კარს მოგვადგა, უკვე დაიწყო მისი პირველი ეტაპის შეჯიბრებები, რუსთაველ სპორტსმენებს კი რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადების საჭირო პირობები არა აქვთ. არც მიკრორაიონებშია საქმე კარგად — ათასობით მცხოვრები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მიღმაა დარჩენილი.

**რ. გაბრიძე,**
(ჩვენი კორ.).

---

# ძვირფასი დრო გზაში მხარჯებათ

ხალხის ყოველდღიურ ყოფაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვაზე ისიც მეტყველებს, რომ განუხრელად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება სპორტულ საქონელზე. რამდენიმე წლის წინათ „საქსპორტვაჭრობის" სპეციალიზებული მაღაზია გაგრაშიც გაიხსნა. ამ ობიექტმა იმთავითვე მიიზიდა მომხმარებელი, საგრძნობლად გააქტიურდა ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაც, რადგან საჭირო სპორტულ ფორმებსა და ინვენტარს ისინი უნაღდო ანგარიშსწორებით ამ მაღაზიაში იძენდნენ, მაღაზიას ფიზკულტურული კოლექტივების დაკვეთითაც შემოქონდა სპორტული საქონელი. ერთი სიტყვით, დიდი ხნის პრობლემა მომხმარებელთა სასარგებლოდ იყო მოგვარებული, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა — ერთ მშვენიერ დღეს სპორტული ვაჭრობის მაღაზია კურორტვაჭრობის ობიექტად გამოცხადდა.

მაღაზიაზე იერის შეცვლამ, დაკვეთით მომარაგების სისტემის მოშლაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზკულტურის კოლექტივებს უნაღდო ანგარიშსწორებით სპორტული ფორმებისა და ინვენტარის შეძენის გზაც მოუჭრა.

ახლა გაგრელები იძულებუ... არიან სოხუმსა და გუდაუთაში ს... არულში დახარჯონ ძვირფასი დრ... ეგეც არ იყოს, მეზობელი ქალაქე... ბის მაღაზიებს თავიანთი დამკვეთ... ბი ჰყავთ და გაგრელების მოთხო... ვნას ვერ აკმაყოფილებენ.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაღაზია... „სპორტსაქონლით" ვაჭრობის ა... — ასეთია გაგრის ფიზკულტურ... ლთა და სპორტსმენთა თხოვნა... მიმართ, ვისაც ამ საკითხზე ... ლოთ გადაწყვეტილება უნდა... ილოს.

**თ. ჭეიშვ...**



# საქართველო ეგებება სასიქადულო შვილს

მაია ჩიბურდანიძე მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთი პრეტენდენტია! ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო საჭადრაკო სამყაროს. გაიხარეს 17 წლის ქართველი გოგონას ნიჭისა და ტალანტის მილიონობით თაყვანისმცემლებმა.

გამოცდილ მეტოქესთან უკომპრომისო ორთაბრძოლაში გამარჯვებული მაია ჩიბურდანიძე დაემშვიდობა დასავლეთ გერმანიის მყუდრო ქალაქს და სამშობლოსაკენ გამოეშურა.

მაიას ამ დიდი წარმატების შემდეგ საინტერესო შეხვედრები არც ბად-კისინგენში, არც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში მოჰკლებია, მაგრამ მშობლიურ მიწაზე თანამემამულეებთან, ახლობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან შეხვედრას მაინც განსაკუთრებულად ელოდა მაია.

და აი, ეს შეხვედრაც შედგა!

ბად-კისინგენის საჭადრაკო ბრძოლების გმირს, შინ მოსკოვი — თბილისის მატარებლით რომ გამოემგზავრა, ყვავილებით, ღიმილითა და ოვაციებით შეეგებნენ სამტრედიაში, ხაშურში, გორში. ჩვენს საჭადრაკო დელეგაციას გულითადი და ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს ქართული სპორტის მესვეურებმა, დედაქალაქის საზოგადოებამ.

— ეს იყო ძნელი ბრძოლა გამოცდილ ალა კუშნირთან, — გვითხრა მაიამ. — მხოლოდ მეთოთხმეტე პარტიის შემდეგ ვირწმუნე, რომ გავიმარჯვე.

— დიდ ქებას იმსახურებდა მაიას ბრძოლისუნარიანობა, საოცარი ნიჭი და შემოქმედებითი თამაში. მისი გამარჯვება სავსებით დამსახურებული და კანონზომიერია, — თქვა პრეტენდენტის სეკუნდანტმა დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ.

— მაიას ეს გამარჯვება ქართული ჭადრაკის ისტორიაში შევა, როგორც მისი ერთ-ერთი სასახელო მიღწევა. არ შემიძლია არ აღვნიშნო მაიას აუღელვებლობა, სულგრძელობა და დიდი მოთმინება. იგი მუდამ იმედიანად იყო, ვაჟკაცურად იბრძოდა და გაიმარჯვა კიდეც, — ამბობს ბად-კისინგენში ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე გ. გაჩეჩილაძე.

ახალგაზრდა პრეტენდენტი და მისი მწვრთნელები პირველად საქართველოს ტელევიზიას ესტუმრნენ. აქ მათ მეგობრულად შეხვდნენ ტელე და რადიოჟურნალისტები. მაიამ, ბ. გურგენიძემ, პრეტენდენტის მწვრთნელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა და გ. გაჩეჩილაძემ მასპინძლებს უამბეს ბად-კისინგენის ბრძოლის პერიპეტიები.

— კუშნირი ზედმიწევნით იყო მომზადებული მაიასთან საპაექროდ, მაგრამ ვერაფერს გახდა, მაშინაც, როცა მეექვსე პარტიიდან თამაში აეწყო. მაიას შეუპოვარმა, ძარღვიანმა წინააღმდეგობამ გატეხა კუშნირი, — ამბობს გურგენიძე. — ცხადია, მაიაც საუცხოოდ იყო მომზადებული, განსაკუთრებით სადებიუტო თეორიაში. შემთხვევითი როდია, რომ იგი სისტემატურად და წარმატებით იყენებდა ძველინდურ დაცვას. მან ეს დებიუტი ღრმად იცის.

მერე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს სხვა სტუმრებმაც, შეაქეს ახალგაზრდა პრეტენდენტის თამაში.

— დასავლეთში ქალთა ჭადრაკს ბევრი ტრფიალი როდი ჰყავს, — ჰყვება გ. გაჩეჩილაძე. — ამიტომ მატჩს ბად-კისინგენში ცოტა მაყურებელი ჰყავდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ საგარეო სეზონი ჯერ არ დაწყებულა. მიუხედავად ამისა, დასავლეთ გერმანიის პრესამ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქა მატჩის მსვლელობა. მაიას არ აკლდა ყურადღება. მას ხშირად ურეკავდნენ ბონიდან — საბჭოთა საელჩოდან, მოსკოვიდან და თბილისიდან გულშემატკივრები, მეგობრები, ყველაფერი ეს რა თქმა უნდა კარგ გუნება-განწყობილებას უქმნიდა მაიას, რაც ბრძოლაში დიდად ეხმარებოდა.

ჟურნალისტებმა ბევრი შეკითხვა მისცეს სტუმრებს.

— მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც გული შესტკიოდა, მამხნევებდა, ყურადღებას არ მაკლებდა. ვგრძნობდი თანამემამულეთა მხარდაჭერას და ეს ძალას მმატებდა, — ამბობს მაია.

მაიამ ქომაგებს უთხრა, რომ მცირე დასვენების შემდეგ კვლავ მეცადინეობას შეუდგება.

— შეხვედრა ნონა გაფრინდაშვილთან ჩემთვის დიდად საპატიოა, — თქვა პრეტენდენტმა, მატჩი მსოფლიო პირველობაზე 15 აგვისტოს დაიწყება, შეხვედრის ადგილი კი მოგვიანებით გამოცხადდება. მანამდე, ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში ვაპირებ მონაწილეობას. ეს შეჯიბრება 12 აპრილს აიღებს სტარტს...

**გუშინ** საქართველოს სპორტკომიტეტში მ. ჩიბურდანიძესა და დელეგაციის წევრებს შეხვდნენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტსმენები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ გულთბილად მიულოცა ნიჭიერ დიდოსტატს პრეტენდენტობა და ხაზგასმით აღნიშნა ბად-კისინგენში მოპოვებული გამარჯვების დიდი მნიშვნელობა ქართული სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის.

მერე დამსწრეთ გარდასული ბრძოლის შთაბეჭდილებები გაუზიარეს ბ. გურგენიძემ, გ. გაჩეჩილაძემ და მაიას დედამ — ნელი ხურციძემ. მათ განსაკუთრებით გამოყვეს ახალგაზრდა დიდოსტატის მონდომება, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა და მებრძოლის თვისებები.

ახალგაზრდა პრეტენდენტს მიესალმნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ებრალიძე, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია, „საქჩაის" ტრესტის მმართველი ჯ. მალაზონია, დიდოსტატები ნ. ალექსანდრია და ე. გუფელდი, გაზეთ „ლელოს" რედაქტორი ა. ბასილაია, რომელმაც მაიას გადასცა რედაქციაში მის სახელზე მიღებული უამრავი მისალოცი წერილი და დეპეშა.

ჭიდაობაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. თედიაშვილმა ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

— მატჩის დროს შინ ხშირად ვახსენებდი ჩიბურდანიძეს. მამაჩემს ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და მირჩია: შვილო, სულ რომ ჩიბურდანიძეს გაიძახი, ალბათ ძლიერია. ჰოდა, სანამ პირველი ხარ, თავი დაანებე ჭიდაობას. აღარ შერცხვები!..

შეხვედრის დასასრულს საკავშირო და საქართველოს სპორტკომიტეტების სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ მ. ჩიბურდანიძეს, ე. გუფელდსა და ბ. გურგენიძეს, საქართველოს სპორტკომიტეტის მადლობ[illegible] რო სუვენირები — მწვრთნელ-აღმზრდელს [illegible] გაჩეჩილაძეს.

მ. ჩიბურდანიძეს გადაეცა, აგრეთვე, საქართველოს სპორტკომიტეტის დიდი ოქროს მედალი.

მ. ჩიბურდანიძემ მადლობა გადაუხადა სპორტკომიტეტის მესვეურებს და ყველა ქომაგს იმ მზრუნველობისთვის, რომელსაც მუდამ გრძნობდა პრეტენდენტთა მატჩებისთვის მზადებისა და თვით ბრძოლის პროცესში.

**თ. გიორგაძე.**







**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მაიას შესახვედრად რკინიგზის ვაგზალზე მოსული თბილისელები. გულშემატკივრები ისე ბევრნი იყვნენ, რომ კინო-ტელე ოპერატორებს „ამხედრება" დასჭირდათ, რომ ფირზე აღებეჭდათ დაუვიწყარი წუთები; ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიაში: (მარცხნიდან) გ. გაჩეჩილაძე, კომენტატორი ნ. ალექსანდრია, მ. ჩიბურდანიძე ბ. გურგენიძე და ე. გუფელდი.

ვ მაჩაბლისა და ვ. გენგიურის ფოტოები.

---

## „ლელოს" ინტერვიუ

**გვესაუბრება სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი**



# პრობლემები და პერსპექტივები

**ჩვენი** რედაქციის თხოვნით, საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **მ. ხაჩკოვანიანი** მოსკოვის ცენტრში მდებარე სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) შტაბ-ბინაში ეწვია პრეზიდენტს **ნიკოლოზ ნიკიფოროვ-დენისოვს** (იგი ახლახან დაბრუნდა პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანიდან, სადაც ჩატარდა აიბა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა) და სთხოვა ეამბნა სხდომის შედეგების შესახებ.

— დავიწყებ იმით, რაც პირველ რიგში გაახარებს სპორტის ჩვენი სახეობის მრავალმილიონიან თაყვანისმცემლს, — თქვა პრეზიდენტმა. — გადაწყდა ჩატარდეს მოკრივეთა ახალი საინტერესო შეჯიბრება — მსოფლიო თასზე, რომელიც 1979 წლის ოქტომბერში გაიმართება აშშ-ში ან კანადაში, რამდენადაც უკვე წარმოადგინეს განაცხადი ნიუ-იორკისა და **მონ**რეალის სპორტულმა ორგანიზაციებმა.

ეს იქნება კონტინენტთა გუნდური ტურნირი. ევროპა, აზია, ამერიკა და აფრიკა ორ-ორი გუნდით გამოვა, ავსტრალია — ერთით, ამასთან, იმის გადაწყვეტა ცალკეული ეროვნული გუნდები გააგზავნონ თუ ქვეყნის ნაკრები, რომელი სპორტსმენი შეიყვანონ გუნდში და ვინ იქნება მწვრთნელი, მიენდობა აიბა-ს საკონტინენტო ბიუროს. მაგალითად, ევროპის საკონტინენტო ბიუროს პრეზიდენტმა კარლჰეინც ვერმა (გდრ) უკვე განაცხადა, რომ გამოიყვანს ორ ეროვნულ ნაკრებს. შესაძლოა, ამერიკის კონტინენტი წარმოადგინოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა — კუბის გუნდმა და ნაკრებმა, რომელშიც შევლენ აშშ-ისა და ლათინური ამერიკის მოკრივეები.

ცალკეული ეროვნული გუნდით გამოსვლის უფლება აქვთ ასპარეზობის ორგანიზატორებს.

**— კიდევ რა ახალი შეჯიბრებებია დაგეგმილი?**

— 1979 წლის გაზაფხულზე ბუქარესტში გაიმართება იუნიორთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. აიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა რუმინეთის კრივის ფედერაციის მუშაობა ამ ტურნირის ორგანიზაციის დარგში. შეგახსენებთ, რომ რუმინეთის დედაქალაქის სპორტულ ორგანიზაციებს უკვე აქვთ მოზრდილთა (1969) და იუნიორთა (1972) ევროპის ჩემპიონატების ჩატარების გამოცდილება.

ახალგაზრდობისთვის უკვე ევროპის ოთხი ჩემპიონატი მოეწყო. ევროპის მაგალითზე ახალგაზრდული პირველობა გამართა კრივის აზიურმა ასოციაციამ. ასეთი ტურნირების მოწყობისთვის ემზადებიან ამერიკასა და აფრიკაშიც. ვფიქრობთ, რომ ორი ახალი შეჯიბრება არა მარტო სამოყვარულო კრივის პროგრესს შეუწყობს ხელს, არამედ ყველა კონტინენტზე სპორტის ამ სახეობის განვითარებასაც. ამასთან თასის გათამაშება და მსოფლიო ახალგაზრდული პირველობა XXII საზაფხულო თამაშებისთვის ეროვნული გუნდების მომზადების დამატებით შესაძლებლობას მოგვცემს. უეჭველია, რომ ბევრი მათგანი ერთი წლის შემდეგ მოსკოვის ოლიმპიურ რინგზე იასპარეზებს.

**— რა სიძნელეებია ახალი შეჯიბრებების ორგანიზაციების გზაზე?**

— სიძნელე ბევრია. მათ შორის მთავარია დაფინანსება. ამჟამად გუნდების მიღებისა და შენახვის ხარჯები ტურნირის ორგანიზატორებს ეკისრებათ. ოლიმპიადების ჩატარების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებს თავად შეუძლიათ იკისრონ შეჯიბრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული დანახარჯი. ჩემის აზრით, საჭიროა ეს პრინციპი გატარდეს კრივში ჩემპიონატების დროსაც.

მნიშვნელოვანი პრობლემაა მსაჯობის გაუმჯობესებაც, ცნობილია, რომ ბოლო წლების მთელ რიგ ტურნირებს ჩრდილი მიაყენა მსაჯთა შეცდომებმა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ უფრო ხშირად ყოველგვარი გაუგებრობის მიზეზი არბიტრთა დაბალი კვალიფიკაცია და წესების ზოგიერთი პუნქტისადმი ერთიანი მიდგომის უქონლობაა.

ამიტომ ჩვენი სხდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის, რომელიც წლეულს მაისში ბელგრადში გაიმართება (პირველი ჩატარდა 1974 წელს, ჰავანაში), მსაჯთა დანიშვნა, პირველად მივიღეთ გადაწყვეტილება ყოველი კონტინენტიდან შედარებით თანაბარი რაოდენობით მსაჯების დანიშვნის შესახებ. მაგალითად, ევროპის კონტინენტმა, სადაც სპორტის ეს სახეობა საკმაოდ განვითარებულია, 10 ადგილი მიიღო, ამერიკამ, აზიამ და აფრიკამ — 8-8, ავსტრალიამ — 2...

სსრ კავშირიდან მსოფლიო პირველობას მოემსახურება ოლიმპიური ჩემპიონი, ვილნიუსელი დან პოზნიაკი.

**— როგორ მიმდინარეობს იუგოსლავიაში ჩემპიონატისთვის მზადება?**

— დიდი ყურადღებით მოვისმინეთ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ზორან ნასტიჩის ანგარიში. მან განაცხადა, რომ უკვე ყველაფერი მზადაა და შეიძლება ორთაბრძოლების დაწყება თუნდაც ხვალვე. რინგი მოეწყობა რეკონსტრუირებულ სპორტის სასახლე „პიონერში", სადაც 1973 წელს გაიმართა ევროპის პირველობა.

მომავალი მსოფლიო პირველობის მიმართ ინტერესი დიდია. უკვე მიღებულია განაცხადი 43 ქვეყნიდან. სრული შემადგენლობით (11 მონაწილე) აპირებენ გამოსვლას სსრ კავშირის, რუმინეთის, კუბის, პოლონეთის, აშშ-ის, განის, უგანდის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, კენიის, ბულგარეთის, ეკვადორის, ნიგერიის, გდრ-ის, უნგრეთის, ირანის, მაროკოსა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

**— როგორ ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის სსრ კავშირის მოკრივეები?**

საბჭოთა მოკრივეებისთვის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ეტაპი თბილისის საკავშირო ჩემპიონატი იყო.

# აბსოლუტური რეკორდსმენი

მილანის (იტალია) დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა ევროპის ზამთრის IX ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ეს ტურნირი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შედგა კონტინენტის ნაკრები, რომელიც „სპორტის ღედოფლის“ ზამთრის შეჯიბრებების ისტორიაში პირველად გამართავს მატჩს ამერიკის სპორტსმენებთან.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში კონტინენტის ჩემპიონი გახდა ჩეხოსლოვაკიელი ი. ინგრინოვა — 662 სმ. მომდევნო ადგილები ერგოთ მ. ერდეი-საბოს (უნგრეთი) — 649 და მ. რივსს (დიდი ბრიტანეთი) — 648 სმ. საბჭოთა სპორტსმენებს პირველი ოქროს მედალი მოუპოვა ნ. კოლესნიკოვმა, რომელმაც 60 მეტრი ფინალში 6,64 წამში გაირბინა და 0,02 წამით აჯობა ბულგარელ პ. პეტროვს. ბრინჯაოც საბჭოთა სპრინტერს ა. აკსინინს ხვდა წილად — 6,73.

400 მეტრზე ასპარეზობაში ნ. ჩერნეცკიმ წინასწარ გარბენში 47,2 წამი აჩვენა და წლევანდელ სეზონში ევროპაში საუკეთესო შედეგს მიაღწია, მაგრამ შემდეგ, ნახევარფინალში რ. პოდლიასმა (პოლონეთი) იგი 0,12 წამით გააუმჯობესა.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სიმაღლეზე მხტომელთა ასპარეზობამ, რომელიც საბოლოოდ 19 წლის საბჭოთა სპორტსმენის, მსოფლიო რეკორდსმენის ვ. იაშჩენკოს გამარჯვებით დამთავრდა — 235 სმ. მან აქ 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა ორი თვის წინათ ამერიკელ ჯეკობსის მიერ დამყარებული ზამთრის მსოფლიო მიღწევა და ახლა იაშჩენკო სამართლიანად ითვლება აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდსმენად, ვინაიდან არც სტადიონზე (233 სმ), არც დარბაზში მასზე უფრო მაღლა არავინ გადამხტარა. რა თქმა უნდა, ოქროს მედალი იაშჩენკოს დარჩა.

ჩვენი სპორტსმენებიდან ოქროს მედლები მოიპოვეს, აგრეთვე, მ. სიდოროვამ — 400 მეტრზე რბენაში — 52,42 და ა. პისკულინმა სამხტომში — 16,82.

იაშჩენკოს გარდა მსოფლიო მიღწევის გაუმჯობესება შეძლო მხოლოდ ქალთა შორის 60 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა მ. ელსნერმა (გდრ) — 7,12.

კონტინენტის ჩემპიონატში, საბჭოთა და გდრ-ის მძლეოსნებმა 4-4 უმაღლესი ღირსების მედალი მიიღეს.



სურათზე: ვ. იაშჩენკო.



სურათზე: ი. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი.

# საბჭოთა ფიგურისტების წარმატება

ოტავა. აქ გამართულ ფიგურული ციგურაობის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში მედლების კომპლექტი გათამაშდა ქალთა და მოცეკვავე წყვილთა შორის. ქალებში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონმა ანეტ პიოტჩიმ (გდრ), II ადგილზე გავიდა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი ლინდა ფრატიანი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სუზანა დრიანომ (იტალია).

ნებისმიერი პროგრამით ბრწყინვალედ იასპარეზა მოსკოველმა ე. ვოდორეზოვამ. იგი ძალიან მსუბუქად სრიალებდა. რამდენჯერმე შეასრულა სამმაგი ნახტომი და თავბრუდამხვევი ტრიალი. სავალდებულო პროგრამის შემდეგ იგი XIII ადგილზე იყო, საბოლოოდ ქულებზე VI ადგილზე გავიდა.

საბჭოთა მოცეკვავეთა წყვილმა ორმაგ წარმატებას მიაღწია. სპორტის ქვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდნენ ნატალია ლინიჩუკი და გენადი კარპონოსოვი — 205, 40 ქულა (ადგილების ჯამი 11). ვერცხლის მედლები მოიპოვეს შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონებმა ირინა მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა — 203,08 (16). პირველად დაეპატრონენ „ბრინჯაოს“ უნგრელები — კრისტინა რეგოცი და ანდრაშ სალაი — 197,54 (29). მოსკოველები მარინა ზუევა და ანდრეი ვიტმანი VII ადგილზე გავიდნენ — 186,30 (69).

# ვითამაშებთ თანაკლუბელთა მოედანზე

**მატჩის წინ:**
**„დინამო“ (მოსკოვი)— „რეალ ბეტისი“ (სევილია)**

როგორც ცნობილია, ხვალ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი — მოსკოვის „დინამო“ და ესპანეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „რეალ-ბეტისი“ (სევილია).

საბოლოო სამზადისს ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩისთვის მოსკოვის დინამოელები აწარმოებდნენ საქართველოში, ლესელიძის სპორტულ ბაზაზე. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა ლესელიძეს და ტელეფონთან თხოვა მოსკოვის „დინამოს“ უფროს მწვრთნელს ა. სევიდოვს.

— რას იტყვით მომავალი მატჩის შესახებ?

ა. სევიდოვი: ჩვენთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა პირველი შეხვედრა მეტოქის მინდორზე სევილიაში. ურიგოდ არ გვითამაშია, ესპანელებს არ მივეცით საშუალება ხელთ აეღოთ ინიციატივა, ჩვენს მხრივ კი ორი მომენტი გვქონდა, როცა მეტოქე ბეწვზე გადაგვირჩა გოლს. გულშემატკივრებმა იციან, რომ მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0, ეს კი განმეორებითი შეხვედრისთვის გარკვეულ სტიმულს გვაძლევს ვიბრძოლოთ ნახევარფინალში გასვლისთვის. დიდად გვიხარია, რომ ვთამაშობთ ჩვენი ძველი სპორტული მეგობრების, თბილისელი თანაკლუბელების შესანიშნავ სტადიონზე. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „შინაური კედლების“ ფაქტორი თბილისშიც ისეთივე გვექნება, თითქოს მოსკოვში გვეთამაშოს, ამას კი ევროპულ სათასო ტურნირებში, როგორც იცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ლესელიძეში, ადგილობრივი სპორტული ბაზის ხელმძღვანელებმა შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს წარმატებითი წვრთნისა და მომავალი საპასუხისმგებლო მატჩისთვის მოსამზადებლად. მოცული ვიყავით ყოველმხრივი ყურადღებით და ხელშეწყობით.

— ეს ბუნებრივიცაა...

ა. სევიდოვი: რა თქმა უნდა. მახსოვს, როცა 1976 წელს თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში გავიდა და გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადებოდა, ჩვენ თბილისელ თანაკლუბელებს დავუთმეთ ჩვენი საწვრთნელი ბაზა მოსკოვში და ყოველმხრივ ვუწყობდით ხელს მათ ნაყოფიერ სამზადისს. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ამას გარდა, მოსკოვის დინამოელები ყველანი გახარებული ვართ იმით, რომ ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკემ მაია ჩიბურდანიძემ ბრწყინვალედ ითამაშა და უფლება მოიპოვა იბრძოლოს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის.

— რა პერსპექტივებით ხვდებით მომავალ მატჩს?

ა. სევიდოვი: მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმისტურად. ორსვლიანი მატჩის პირველი ნაწილი წარმატებით დავასრულეთ. ახლა საჭიროა მონაპოვრის განმტკიცება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წამიერადაც კი მივეცეთ თვითდამშვიდებას და საქმე მოთავებულად ჩავთვალოთ. „რეალ-ბეტისი“ გამოცდილი კლუბია და თუ ჩვენ წარმატებით ვითამაშეთ სევილიაში, მასაც შეუძლია ასეთივე ამბავი გაიმეოროს გასვლაზე, ამიტომ გვმართებს ძალების მაქსიმალური მობილიზება, სრული ძალით თამაში.

ვიმეორებ, მოსკოვის „დინამოს“ თითოეული წევრი მოხარულია, რომ განმეორებითი თამაში შედგება თბილისელ თანაკლუბელთა სტადიონზე. თბილისელი მაყურებელი კარგად გვიცნობს და ღრმად ვართ დარწმუნებული არ მოგვაკლებს მხარდაჭერას. ჩვენის მხრივ, ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა სანაქებო მასპინძლებს — თბილისელებს ვაჩვენოთ ისეთი თამაში, რომელიც მათ მოსწონთ და უყვართ — სწრაფი, ტემპიანი, აგრესიული. მთელი კოლექტივის რწმენაა არ გაუმტყუნოს თბილისელებს, საერთოდ, საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულებს და მოიპოვოს ნახევარფინალში თამაშის ვიზა. შეხვედრამდე, მეგობრებო!

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის თასზე

# «კოლოსი» — თბილისის «დინამოს» მეტოქე

11 მარტს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის დაწყებითი ეტაპის განმეორებითი მატჩები. თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქე უნდა გაერკვია ნიკოპოლის „კოლოსისა“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ შეხვედრას. ნიკოპოლის ფეხბურთელებმა პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 1:0, განმეორებითი კი დაამთავრეს ფრედ — 0:0 და ახლა თბილისის „დინამოსთან“ მოუწევთ 2 მატჩის ჩატარება.

ქუთაისის „ტორპედოს“ პირველი მატჩი ანგარიშით 2:0 ჰქონდა მოგებული სვერდლოვსკის „ურალმაშთან“. განმეორებით შეხვედრაში „ურალმაშმა“ იმავე ანგარიშით აიღო რევანში, შემდეგ კი გაიმარჯვა დამატებითი პენალტებით და გააგრძელებს ბრძოლას თასზე.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, ასკ (ოდესა) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „იანგიერი“ (იანგიერი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „სპარტაკი“ (სემიპალატინსკი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (კიევი) 1:2, „ალგა“ (ფრუნზე) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:1.

## კალათბურთი

შაბათს, უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში შედგა სამი მატჩი.

მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო ტალინის „კალევი“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 96:92 (54:46).

ლენინგრადში „სპარტაკი“ შეხვდა კაუნასის „ჟალგირისს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 112:102 (56:50).

რიგაში საკავშირო ჩემპიონატის ამ ეტაპის ბოლოსწინა შეხვედრა ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა ადგილობრივ ვეფ-თან. გაიმარჯვეს რიგელებმა 105:103 (60:50).

### გუშინ...

ტალინში გაიმართა სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ტალინის „კალევს“ შორის. დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით 97:93. ეს დინამოელთა მეთხუთმეტე გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ თბილისელთა რიგებში კვლავ ითამაშა ი. პულავსკიმ.

## ჭადრაკი

### ორხელისუფლიანობა

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის XII ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა სძლია ვ. ჰორტს (ჩეხოსლოვაკია). ლიდერები ი. ტიმანი (ჰოლანდია) და ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) შეხვდნენ ერთმანეთს და დაზავდნენ. ასევე მოიქცნენ რ. ჰიუბნერი (გფრ) — მ. ტალი, ე. მაილსი (ინგლისი) — ლ. პორტიში (უნგრეთი), ბ. ლარსენი (დანია) — ე. ბუკიჩი, ბ. ივკოვი (ორივე — იუგოსლავია) — რ. ბირნი (აშშ). ი. ბალაშოვმა მოუგო მ. ვუკიჩს (იუგოსლავია).

12 ტურის შემდეგ ა. კარპოვსა და ი. ტიმანს 7,5-7,5 ქულა აქვთ, ბ. სპასკის—7 ქულა და XII ტურიდან ს. გლიგორიჩთან (იუგოსლავია) გადატოვებული პარტია, მ. ტალსა და ლ. ლიუბოევიჩს — 7-7 ქულა.

რედაქტორი ბ. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)
15 მარტი
ფეხბურთი
ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი
„დინამო (მოსკოვი) — „რეალ-ბეტისი“ (სევილია, ესპანეთი)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში: ორგანიზაციებზე — 14 მარტს 10 საათიდან, საერთო გაყიდვა 14 და 15 მარტს 10 საათიდან.

1977 წლის ყველა სახის საშვი ძალაშია.

## ინგლისი

სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შედის და სულ უფრო ცხადი ხდება „ნოტინჰემ ფორესტის“ დიდი პრეტენზიები. ივი იბრძვის ჩემპიონობისთვის, ქვეყნის თასისა და ლიგის თასისთვის.

29-ე ტურში „ნოტინჰემ ფორესტი“ სტუმრად თამაშობდა „ნორვიჩ სიტისთან“. პირველი ტაიმის მიწურულისთვის ანგარიში იყო 3:0 ლიდერის სასარგებლოდ, „ნორვიჩმა“ კი მაინც გადაარჩინა ქულა — 3:3. წარმატებით იასპარეზა „მანჩესტერ სიტიმ“ საპრიზო ადგილის პრეტენდენტ „ევერტონთან“. თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე მანჩესტერელთა გარემარბმა კიდმა ერთადერთი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

28 თამაშიდან 43 ქულით მტკიცედ ლიდერობს „ნოტინჰემ ფორესტი“. 29 თამაშიდან 39 ქულით მეორე ადგილზეა „მანჩესტერ სიტი“. 38 ქულა აქვს „ევერტონს“, რომელმაც 29 თამაში ჩაატარა.

## შოტლანდია

დასასრულს უახლოვდება ჩემპიონატის მესამე წრე. „მოტერუელმა“ მიიღო „გლაზგო რეინჯერსი“ და დამარცხდა 3:5. მეორე ადგილზე მყოფმა „აბერდინმა“ შინ ანგარიშით 3:0 მოუგო ედინბურგის „ჰიბერნიენს“.

24 მატჩის შემდეგ 38 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა „გლაზგო რეინჯერსი“. 25 მატჩიდან 34 ქულა აქვს „აბერდინს“. დანარჩენი გუნდები მკვეთრად ჩამორჩებიან.

## პორტუგალია

მე-18 ტურში შეიცვალა ლიდერი. „ბენფიკამ“ საკუთარ მინდორზე ვერ სძლია (0:0) გიმარაეშის „ვიტორიას“, „პორტომ“ კი შინ დაამარცხა „მარიტიმო“ — 3:0. „პორტომ“ და „ბენფიკამ“ ქულათა ერთნაირი რაოდენობა (30-30) მოაგროვეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველ ადგილზე „პორტო“ გავიდა.

## რუმინეთი

განახლდა რუმინეთის ჩემპიონატი. გუნდებმა ჩაატარეს მეორე წრის პირველი, საერთოდ კი, მე-18 ტურის მატჩები.

კარგა ხანია არ ყოფილა, რომ პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად ბუქარესტის ცნობილი კლუბების ნაცვლად პროვინციული გუნდები დაწინაურებულიყვნენ. 18 ტურის შემდეგ 24 ქულით ლიდერობს ასა (ტირგუ-მურეში), 22 ქულა აქვს ტიმიშოარის „პოლიტექნიკას“, 20-20 — ბუქარესტის არმიელთა კლუბ „სტიაუასა“ და პიტეშტის „არგეშს“. ჩემპიონი, ბუქარესტის „დინამო“, 18 თამაშიდან 18 ქულით მხოლოდ VIII ადგილზეა.

## ჩემპიონატები, გამარჯვებები, ლიდერები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვესისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.